

2017 წლის 1 დეკემბრიდან
საქართველოში იწყება
ადამიანის პაპილომავირუსის
სანიტალმდებო ვაქცინაციის
ეტაპობრივი დანერგვა.

2017-2019 წლების
განმავლობაში, ქალაქებში
თბილისი და ქუთაისი, აჭარისა და აფხაზეთის
ავტონომიურ რესპუბლიკებში, აიჭრებიან 2008-2009
წლებში დაბადებული 9 წლის ასაკის გოგონები.

თავიდან აიცილე აპვ გამოწვეული საშვილოსნოს ყელის კიბო!

აცარი და დაიცავი შენი გოგონას ჯანმრთელობა დღესვე!
ვაქცინაცია უფასოა!
მიმართეთ თქვენი ოჯახის ექიმს

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო,
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებგვერდს - www.ncdc.ge ან დარეკეთ ცხელ
ხაზზე - 116 001



რა არის ადამიანის პაპილომავირუსი (აპვ/HPV)

ადამიანის პაპილომავირუსი (აპვ/HPV) რეპროდუქციული სისტემის
ყველაზე გავრცელებული ვირუსული ინფექციებისა და სხვა რიგი დაავადებების
გამომწვევი მიზეზია, როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში. ადამიანების 80%
სიცოცხლეში ერთხელ მაინც ინფიცირდება ამ ვირუსით. აპვ-ს 200-ზე მეტი ტიპი
არსებობს, მათგან 12 - მაღალი სიხშირით იწვევს კიბოს.

ადამიანის პაპილომავირუსული ინფექციების უმრავლესობა უსიმპტომოდ
მიმდინარეობს. თუმცა, ვირუსის სპეციფიური ონკოგენური ტიპით
(უმეტესწილად აპვ 16 და აპვ 18) გამოწვეული ქრონიკული ინფექცია, ხშირად
საშვილოსნოს ყელის კიბოს გამომწვევი მიზეზი ხდება.

აპვ ასევე იწვევს გენიტალურ მეჭვჭვებს, პირ-ხახის და ანოგენიტალურ სიმსივნეებს, როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში: უკანა ტანის (88%), პირ-ხახის (13-60%), საშოს (78%) და მამაკაცის სასქესო ორგანოს (51%) კიბოს შემთხვევათა უმეტესობას.

მსოფლიოში 2012 წელს დაფიქსირდა:

- აპვ-ს მიერ გამოწვეული 630 000 კიბოს შემთხვევა, მ.შ. 530 000 საშვილოსნოს ყელის კიბო
- საშვილოსნოს ყელის კიბო სიმსივნურ დაავადებებს შორის სიხშირით მეოთხე ადგილზეა მსოფლიოში, ხოლო მეხუთე ადგილზე - ევროპის რეგიონში.

საქართველოში 2016 წლის მონაცემებით:

- საშვილოსნოს ყელის კიბოთი 200-მდე ქალი გარდაიცვალა
- საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობა ქალთა შორის მესამე ადგილზეა, ძუძუს და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს შემდეგ.

როგორ გადაეცემა პაპილომა ვირუსი

ვირუსი გადაეცემა ინფიცირებული გენიტალიების (სასქესო ორგანოების) კანთან, ლორწოვან გარსებთან, ორგანიზმის ბიოლოგიურ სითხეებთან კონტაქტის შედეგად. იშვიათად, ვირუსი შეიძლება გადავიდეს მშობიარობის დროს დედიდან ბავშვზე და ახალშობილთა სერიოზული დაავადება - რესპირატორული შებრუნებითი პაპილომატოზი გამოიწვიოს. ეს დაავადება, სასუნთქი გზების ობსტრუქციის გამო, მაღალი ლეტალობით ხასიათდება.

პაპილომა ვირუსით გამოწვეული საშვილოსნოს ყელის კიბოს მკურნალობა საჭიროებს ქირურგიულ ჩარევას, ქიმიოთერაპიას ან/და სხივურ თერაპიას. ეს კი, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის მომავალ ორსულობას ან იწვევს უშვილობას.

ვაქცინაცია - პაპილომა ვირუსით გამოწვეული საშვილოსნოს ყელის კიბოსაგან დაცვის ეფექტური საშუალებაა

აპვ-ს საწინააღმდეგო ვაქცინა ვირუსის იმ ტიპებს შეიცავს, რომელიც ყველაზე მეტადაა გავრცელებული და ყველაზე ხშირად იწვევს საშვილოსნოს ყელის კიბოს. ვაქცინა მაღალეფექტურია - აცრილთა 95-100%-ს უვითარდება იმუნიტეტი, რის შედეგადაც მცირდება ინფექციის და შესაბამისად, მის მიერ გამოწვეული კიბოს შემთხვევები.

მსოფლიოში აპვ ვაქცინაცია 2006 წლიდან დაიწყო. ის დანერგილია მსოფლიოს 71 ქვეყანაში. მათ შორისაა აშშ, ავსტრია, ავსტრალია, ბელგია, ისრაელი, იტალია, კანადა, საფრანგეთი, საბერძნეთი, ლატვია, ლუქსემბურგი, დანია, ფინეთი და სხვა.

როდის უნდა ჩატარდეს აპვ ვაქცინაციის პერიოდი

ვაქცინაციისათვის საუკეთესო ასაკია 9-დან 14 წლამდე პერიოდი. სწორედ ამ ასაკში, სქესობრივი ცხოვრების დაწყებამდე, ჩატარებული ვაქცინაცია აყალიბებს ყველაზე ძლიერ და ეფექტურ იმუნურ პასუხს. ამ ასაკში ჩატარებული ვაქცინაცია ორდობიანია, ხოლო აცრებს შორის მინიმალური ინტერვალი - 6 თვე.

აპვ ვაქცინა პრაქტიკულად უსაფრთხოა. აცრის შემდეგ შესაძლებელია ჩვეული გვერდითი მოვლენები (ინექციის ადგილის სიწითლე, მტკივნეულობა, ტემპერატურის მატება) განვითარდეს.

აცრის შემდეგ რაიმე უჩვეულო მოვლენის განვითარების შესახებ აცნობეთ ექიმს!